

გაკოტრების ალბათობის შეფასების სიმულაციური მიდგომა სადაზღვევო პოლისის
დაგეგმვაში

*ანზორ გოზალიშვილი, ვახტანგ სიდამონიძე, თამარ კვატაშიძე, ნიკოლოზ სანაია და ირაკლი
მაისურაძე*

anzor.gozalishvili2014@ens.tsu.edu.ge, tamari.kvatashidze2014@ens.tsu.edu.ge,
nikolozi.sanaia2014@ens.tsu.edu.ge, vakhtang.sidamonidze2014@ens.tsu.edu.ge
irakli.maisuradze2014@ens.tsu.edu.ge

კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
უნივერსიტეტის ქ. 13, 0186, თბილისი, საქართველო

როდესაც სადაზღვევო კომპანია თავის ბიზნესში ნერგავს დაზღვევის ახალ პროდუქტს, ცხადია გასული ფინანსური პორტფელებით სარგებლობა ხშირად შეუძლებელია ან თითქმის შეუძლებელია. ასეთ შემთხვევებში მიმართავენ სიმულაციურ მოდელირებას. ჩვენს სიმულაციურ მოდელში განხილულია დისკრეტული ალბათური მოდელი, რომელიც ითვალისწინებს ახალი პორტფელის ისეთ მონაცემებს, როგორცაა: დაზღვევის პოლისზე წარმოქნილი მოთხოვნის ალბათობა, პორტფელის შემადგენელი პოლისების რაოდენობა, პორტფელის მოქმედების პერიოდი, პოლისების გაყიდვებით მიღებული შემოსავალი, პროდუქტის საინვესტიციო კაპიტალი რეგისტრაციისთვის. განიხილება მოთხოვნის დადგომების რიცხვის ბინომური განაწილებისა და მოთხოვნილი თანხის ნორმალური განაწილების შემთხვევა. აღნიშნული პარამეტრების კონკრეტული მნიშვნელობებისთვის შემუშავებული ახალი პროდუქტის გაკოტრების ალბათობის შეფასების მონტე-კარლოს (სიმულაციური) მიდგომა. შექმნილია პროგრამული უზრუნველყოფა -სისტემა, როგორც სადაზღვევო მენეჯერის დამხმარე საშუალება. სისტემის მომხმარებელს შეუძლია: 1. ინტერაქტიულ რეჟიმში ვარირება გაუკეთოს პარამეტრთა ჯგუფებს მოცემული დონის გაკოტრების ალბათობის ზღვრამდე მისასღწევად; 2. შექმნას ახალი სადაზღვევო პროდუქტის ევოლუციის სცენარები საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.